



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N015/10<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*სტუდენტი ნათია კობახიძე*

### **ფაქტები:**

ადვოკატი ზ. კ. იცავდა მისი მეუღლის, ზ. ლ. ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა ზ.კ.-მ დაარღვია ეთიკური ნორმები, რის გამოც იგი ჩამოაცილეს საქმის წარმოებას. ადვოკატი ზ. კ. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა სამი პირის ზ. ლ., რ. ტ. და გ. ქ. ინტერესებს. განსასჯელმა ზ. ლ.-მ გამოძიებას მისცა აღიარებითი ჩვენება, რომლითაც დაადანაშაულა რ. ტ.-ს და გ. ქ.-ს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. განსასჯელებმა რ. ტ. და გ. ქ. გამოძიებას მისცეს ჩვენებები, რომლთა მიხედვითაც ზ. ლ. ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო საქმეში. ადვოკატმა ზ.კ.-მ უარი თქვა რ. ტ. და ზ. ლ. ინტერესების დაცვაზე და განაგრძო გ. ქ.-ს ინტერესების დაცვა. განსასჯელებს რ. ტ. და ზ. ლ. 2009 წლის 8 ოქტომბერს დაენიშნათ ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

### **პროცესუალური ისტორია**

ი. გ.-მ მიმართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ზ.კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კომისიამ 2011 წლის 24 იანვარს გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ე), 8.1 მუხლების, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 3, 6.1 მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე.

### **სამართლებრივი ანალიზი**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ზ. კ. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ე), 8.1 მუხლები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

ადვოკატი ზ.კ. წარმოადგენდა და იცავდა სამი პირის ინტერესებს ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეში. ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა იმ დროიდან, როდესაც მისმა კლიენტებმა გამოძიებას მისცეს განსხვავებული ჩვენებები, კერძოდ ერთ-ერთმა კლიენტმა (ზ. ლ.) მისცა აღიარებითი ჩვენება და დაადანაშაულა მისი ორი კლიენტი (რ. ტ. და გ. ქ.) დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. მეორე მხრივ, გ. ქ. და რ. ტ. მიერ მიცემული ჩვენებების მიხედვით, ზ. ლ. ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო აღნიშნულ საქმეში. ადვოკატი ზ. კ. ვალდებული იყო შეეწყვიტა სამივე კლიენტის დაცვის განხორციელება, რადგან მათ მიერ განსხვავებული ჩვენებების მიცემამდე იგი წარმოადგენდა სამივე კლიენტის ინტერესებს და ფლობდა სამივე მათგანისაგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად არ ჰქონდა უფლება, გაეგრძელებინა მხოლოდ ერთი კლიენტის დაცვა, ვინაიდან ამით რეალური საფრთხე შეუქმნა დაცვის გარეშე დარჩენილი ორი პირის ინტერესებს.

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5da04ed1d2aee.pdf/015.10%2020.04.2011%20კერძო.pdf>



ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულება, რადგან არ ჰქონდა უფლება, გაეგრძელებინა მხოლოდ ერთი კლიენტის დაცვა, ვინაიდან ამით რეალური საფრთხე შეუქმნა დაცვის გარეშე დარჩენილი ორი პირის ინტერესებს.

ადვოკატმა ასევე დაარღვია ნდობის პრინციპი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

ადვოკატის გადაწყვეტილება იმავე საქმეში ერთ-ერთი კლიენტის ადვოკატად დარჩენის თაობაზე წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის სახით და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ დარჩენილი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას. ვინაიდან, ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია. მართალია, საქმეში მოცემული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ადვოკატის მიერ მისი ყოფილი კლიენტებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, თუმცა რეალური საფრთხის შექმნა წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპი დარღვეულად ჩაითვალოს.

### **დასკვნა**

ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულებაზდა ნდობის პრინციპი, რადგან გააგრძელა მხოლოდ ერთი კლიენტის დაცვა და ამით დაცვის უფლების გარეშე დარჩენის რეალური საფრთხე შეუქმნა დანარჩენ ორ კლიენტს. ასევე, ადვოკატმა შექმნა რეალური საფრთხე იმისა, რომ დარჩენილი ორი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნებულიყო. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.